ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 149 (26490) — ხუთშაბათი, 29 ივნისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

სურათზე: კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საღამოს გაერთიანებული სხდომა. საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

27 ივნისს დილით პალატების გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატები იწყებენ ნ. ი. რიჟკოვის მოხსენების განხილვას.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **ბ. ბ. შტოიკი.** მან გამოთქვა აზრი ორი სამინისტროს — ფერადი და შავი მეტალურგიის სამინისტროების გაერთიანების იდეის შესახებ. ამის შედეგად, მიაჩნია დეპუტატს, იქმნება ლითონის წარმოების უდიდესი კომპლექსი-მონოპოლისტი, რასაც შეუძლია არსებით ზიანი მოუტანოს სახალხო მეურნეობას. ორატორის აზრით, შეიქმნება უდიდესი მონოპოლია, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ეკონომიკური შეჯიბრებისა და მონოპოლისტური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის გადაწყვეტილებას. ფერად მეტალურგიაში მომუშავე დეპუტატთა სახელით ორატორმა წინადადება შეიტანა განხილონ საკითხი არა სამინისტროთა შეერთების, არამედ ფერადი და იშვიათი ლითონების მთელი წარმოების დამოუკიდებლად მოქმედი ერთიანი ორგანოს შექმნის შესახებ. ვფიქრობთ, განაცხადა მან, რომ სწორედ მაშინ მიიღეს ჩვენი სახელმწიფო გაცილებით მეტ უკეთგებას.

მინისტრთა საბჭოს სტრუქტურის შესადგენად საჭირო არ არის ტრადიციული მიდგომით სარგებლობა, თქვა დეპუტატმა **ა. ა. დენისოვმა.** უნდა გავითვალისწინოთ სახელმწიფოებრიობის სტრუქტურის მთელი კონტექსტი და პირობები, რომლებშიც მუშაობა მოგვიწევს, ესე იგი გარდაქმნის პირობები.

ორატორმა დეპუტატთა ყურადღება მიიპყრო ანალიზის საკუთარ სისტემას. ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურიზაციის დროს, ხაზი გაუსვა მან, გამოიყოფა სამი ძირითადი ქვესისტემა: მატერიალური წარმოების; ხელისუფლებისა და იდეოლოგიის, მათ აქვთ დამოუკიდებელი ფუნქციები, რომელთა აღრევა არ შეიძლება. ჩვენი უბედურება ის არის, რომ ისინი აღრეულია. და ამას ის მოსდევს, რომ ფუნქციები არ სრულდება ან მათ ასრულებენ ისინი, ვისაც ეს არ ეკისრება.

ორატორია აზრით, პარტიის უნდა შეემუშავებინა გარდაქმნის კონცეფცია, ესე იგი სოციალიზმის თანამედროვე კონცეფცია.

დეპუტატმა გამოთქვა კმაყოფილება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტის შედეგების გამო. წარმატების საფუძველად მას ის მიაჩნია, რომ ჩვენ ნატოს დიდ სახელმწიფოსთან კონფრონტაციის მდგომარეობიდან გადავდგეთ პარტნიორობის მდგომარეობაზე.

დეპუტატმა **რ. ვ. გუდაიტისმა** კულტურისა და სახალხო განათლების დარგში მინისტრთა საბჭოს სტრუქტურას უწოდა კონსერვატიული, რომელიც არ შეესაბამება მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტს და ეწინააღმდეგება მათი დამოუკიდებლობის პრინციპებს. მისი აზრით, კულტურის განვითარების მართვა მთლიანად უნდა განეკუთვნებოდეს რესპუბლიკებს, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკებ ი ს კომპეტენციას. პრობლემის გადაწყვეტა ის არის, რომ ცენტრი დაეთანხმოს ყველა საფეხურის კულტურებისა და სკოლების მრავალი ეროვნული მოდელის არსებობის შესაძლებლობას. ამ საკითხში რეგლამენტაცია და უნიფიკაცია კი ანარქიზმია. დეპუტატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მან გამოთქვა თავისი პირადი აზრი ამ საკითხზე.

ქვეყანაში აგრარული სექტორის განვითარების საკითხებს მიუძღვნა გამოსვლა დეპუტატმა **დ. ჯ. მოტორნიმ.** მან აღნიშნა, რომ აქ შეიქმნა მეტად მძიმე მდგომარეობა.

კერძოდ, ორატორი შეეხო კამპანიას, რომელიც წარმოებდა აზოგადოებრიობისა და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ყოფილ სამინისტროს შორის. დღეს საზოგადოებრიობა ზეიმობს, თქვა მან, გაუქმდა სამინისტრო. შედეგი კი? ათიათასობით გამოცდილი მექანიზატორი არ მუშაობს, გაიხსნა პერსპექტიული სოფლების ნგრევის გზა, ბოლო მოეღო მთელ სარწყავ მიწათმოქმედებას. ახლა მეურნეობები ჯეროვნად ვეღარ მოუვლიან მიწას.

კომისიის სახელით დეპუტატმა მხარი დაუჭირა ფ. ა. ფოლადზადეს კანდიდატურას წყალსამეურნეო მშენებლობის მინისტრად. პოსტზე, რომელმაც, მისი აზრით, ყველაზე კარგად იცის მელიორაციის საკითხები და თავს გაართმევს საქმეს.

ჩვენ, თქვა ნორილსკელმა დეპუტატმა **ვ. თ. ნიკოლაევსკიმ,** ახლა, როგორც ჩანს, აღარაფერი გვჩრჩება გარდა იმისა, რომ მიეღოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონს შემოთავაზებული ცვლილებები. ყოველ ცვლილებას სჭირდება ღრმა დაბუნებავება, ჩვენ კი ამისათვის მზად არა ვართ. ამავე დროს ეს კანონი არ შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას. მასში არ არის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, საერთოდ სახალხო დეპუტატთა დამოწმება, სამაგიეროდ მოხსენიებულია ახლა არარსებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის წოდება.

არ იცვლება სამინისტროთა ფუნქციებიც, მთელი სახელმწიფო ხელისუფლება ფაქტობრივად რჩება მთავრობას.

ორატორმა უარყო წინათ გამოთქმული აზრი, რომ ორი მეტალურგიული სამინისტროს შეერთებას თითქოს შეიძლება მოყვეს მონოპოლიზმი. მონოპოლიზმი მისი აზრით, უწყებების რაოდენობით კი არა, მათი უფლებებით გამოიხატება.

დეპუტატმა წინადადება წამოაყენა წინასწარი წესით ყურადღებით განიხილონ კომიტეტებსა და კომისიებში სესიის დასამტკიცებლად გამოტანილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყველა ბრძანებულება.

თავის გამოსვლაში დეპუტატმა **ბ. ხ. ბლავატმა** წამოაყენა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებები, რომლებიც ეხება მთავრობის სტრუქტურას. კერძოდ, მან გამოთქვა შიში, რომ შავი და ფერადი მეტალურგიის სამინისტროთა გაერთიანება შელახავს მეორე უწყების ინტერესებს, რომელსაც, როგორც მან თქვა, ელის შავ მეტალურგიაში „გათქვეფის“ საფრთხე. აქედან გამომდინარეობს იდეა, რომელიც დეპუტატმა გამოთქვა: შევქმნათ სსრ კავშირის მეტალურგიის სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც დაექვემდებარება ორივე სამინისტრო იმ პირობით, რომ მათი აპარატი მნიშვნელოვნად შემცირდება.

თავისი გამოსვლის ნაწილი დეპუტატმა მიუძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობაში პრიორიტეტების პრობლემას. მან გააანალიზა ჩვენს სახალხო მეურნეობაში მიმწოდებელთა და მომხმარებელთა ურთიერთობა. ორატორის აზრით, მომხმარებლის უპირატესობანი არ უნდა გავიცელდეს მექანიკურად ყველა სფეროზე.

დეპუტატი **ი. ვ. დრუნინა** არ დაეთანხმა იმათ, ვისაც საჭიროდ არ მიიჩნია კულტურის საერთოსაკავშირო სამინისტრო. ჩვენ, თქვა მან, ყოველთვის ვლაპარაკობთ კულტურის მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ ეს საძირკველია, რომელზეც დგას ყველა დანარჩენი. გამოსვლაში დეპუტატი შეეხო გულმოწყალების თემას. ჩვენ, ხაზი გაუსვა მან, გული გაგვიქვავდა, გავმკაცრდით, ესეც დაკავშირებულია კულტურის დონის საერთო დაქვეითებასთან.

დეპუტატმა **ა. თ. ვეპრევმა** თქვა, რომ გარდაქმნის ამოცანების განხორციელების სიმძიმე ეკისრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. თვით გარდაქმნის მიმდინარეობა კი, მისი აზრით, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოვეკიდებით ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას. ორატორი დაწვრილებით შეეხო რაფსის წარმოების საკითხებს, ურომლისოდაც შეუძლებელია მოსახლეობის რძით, ხორცით უზრუნველყოფა. ორატორმა გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საშეფო დახმარება გაუწიოს სოფელს მრეწველობამ, რომელიც ეწინააღმდეგება დღევანდელ ეკონომიკურ ურთიერთობას. იგი შეეხო სხვადასხვა რეგიონში მუშაველის არათანაბარზომიერი განაწილების თემას, წამოაყენა პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზები.

დეპუტატმა **ი. ტ. კომაროვმა** აღიარა, რომ გამოდის სამინისტროს დამცველის სათაყვანო ოლში და მთავრობის ოპონენტის მისთვის უჩვეულო როლში. დეპუტატის თვალსაზრისით, თუ ნისაშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ლიკვიდაციის სასარგებლოდ მხოლოდ იმიტომ, რომ უქმდება საკავშირო საერთო-სამშენებლო სამინისტრო, მთლიანად დასაბუთებული არ არის. ორატორმა დეპუტატებს სთხოვა მხარი დაუჭირონ მის აზრს: სანშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ლიკვიდაცია ნაადრევია.

სანამ ბამბა ტაჯიკეთის მთავარი კულტურა იქნება, არავითარ კულტურზე საერთოდ ლაპარაკიც კი არ შეიძლება, განაცხადა დეპუტატმა **გ. საფიევამ.** შეეხო რა მრავალ პრობლემას, რომლებიც იქმნება რესპუბლიკაში ამ მონოკულტურის გამო, მან ხაზი გაუსვა, რომ ბამბის პლანტაციებში ძირითადად ქალები მუშაობენ. მთელი ამ წლების განმავლობაში ირღვევა რეგიონის მშრომელთა უფლებები. ორმოცგრადუსიან სიცხეში მუშაობისათვის მათ არ უხდიან კლიმატური პირობებით გათვალისწინებულ ჯიფციენტებს. ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს. გარდა ამისა, დაუყოვნებლივ გადაწყვეტის მოითხოვს ბამბის შესასყიდი ფასის მომატებასთან დაკავშირებული საკითხი. შეეხო რა ეკოლოგიის პრობლემებს, ორატორმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელები შეშფოთებული არიან ბამბის პლანტაციების მდგომარეობით, სადაც ყოველ ჰექტარზე 20 კილოგრამი ქიმიკატი მოდის. სასუქების დიდი შემცველობა უარყოფით გავლენას იხდენს ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე. მიმართა რა დეპუტატის შეკითხვით ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრს, მან გამოთქვა ეჭვი ისეთი დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიზანშეუწონლობის შესახებ, როგორიცაა როგუნის ჰიდროსადგური. დეპუტატმა მხარი დაუჭირი მიკროჰესების მშენებლობას.

შეეხო რა სსრ კავშირის მთავრობის სტრუქტურასა და შემადგენლობას, დეპუტატმა **ვ. ა. ბოჩაროვმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“ სსრ კავშირის კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე კანონის შემოთავაზებული პროექტი ვერ ჭრის ბევრ პრობლემას. კერძოდ, არ იგრძნობა არსებული აპარატის ზეცენტრალიზაციის შემცირება. ბუნდოვანია დებულებაც სამინისტროთა და უწყებათა ფუნქციების შეცვლის შესახებ.

ორატორი შეეხო ზოგიერთი სამინისტროს სტრუქტურას, რომლებიც, მისი აზრით, უნდა გაერთიანდეს. დეპუტატმა აზრი გამოთქვა მინისტრების პოსტის ოჯ კანდიდატურაზე — ფ. ა. ფოლადზადესა და ვ. გ. გრიბოვის კანდიდატურებზე, განმარტა, თუ დეპუტატებმა კომისიებისა და კომიტეტების სხდომაზე რატომ მისცეს ხმა მათ წინადადებებს.

უზბეკეთის დეპუტატმა **ა. რ. ატაჯანოვმა,** კერძოდ, ეჭვი გამოთქვა, რომ მიზანშეწონილი იყოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის ერთიანი სამინისტროს შექმნა. გონივრული იქნება, თუ ვერტიკალურად გავაერთიანებთ ნავთობის მრეწველობის მთელ ჯაჭვს — ნავთობის მოპოვებიდან ბენზინის ჩამოსხმამდე, მათ შორის ობიექტების მშენებლობასა და ტრანსპორტირებას. იგივე, მიაჩნია ორატორს, მიზანშეწონილია გაზის მრეწველობის მიმართაც.

შეეხო რა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ფუნქციებს და მისი თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატს, დეპუტატმა განაცხადა, რომ ი. დ. მასლიუკოვს მთლიანად აქვს ამ თანამდებობისათვის საჭირო ყველა თვისება. ამავე დროს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მთელი მეცადინეობა უნდა მოახმაროს ტერიტორიების, რესპუბლიკების, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრებას, სახოლოოდ აიღოს ხელი ეკონომიკური სადმი მთლიანი მაჩვენებლის პრინციპით მიდგომაზე. საკვანძო უწოდა ორატორმა ამოცანებს, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიუროს წინაშე დგას. კონკრეტული მაგალითებით მან ცხადყო, რომ ბიუროს და მისმა თავმჯდომარემ ა. პ. ბირიუკოვმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს მთლიანად აეცილებინათ თავიდან მბრძანებელურ-ადმინისტრაცი ულ მეთოდები, გადასულიყვნენ მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე, დასდგომოდნენ ეკონომიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის კურსს. დასასრულ დეპუტატმა დამსწრეთ მოუწოდა მხარი დაუჭირონ მთავრობის შემოთავაზებულ სტრუქტურასა და პერსონალურ შემადგენლობას.

თავის გამოსვლაში დეპუტატმა **თ. მ. ბურლაცემ** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ განიხილებოდა ცალკეული კანდიდატურები საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ფარგლებში. დეპუტატთა დავალებით მან წაიკითხა წინადადებანი, რომლებიც გამოთქვა, კერძოდ, ამხანაგების ვ. მ. კამენცევისა და კ. თ. კატუშევის მიმართ.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა შემუშავდეს წინადადებანი ჩვენი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის მართვის სტრუქტურის სრულყოფის შესახებ. ეს ურთიერთობა ტექნოლოგიური მოდერნიზაციის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, რომელიც, თავის მხრივ, უშუალო გავლენას ახდენს გარდაქმნის წარმატებაზე. დეპუტატმა დიდი ყურადღება დაუთმო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტრუქტურულ საკითხებს. სადისკუსიო წესით დეპუტატმა წამოაყენა წინადადება, რომ საჭიროა შეიქმნას ახალი ორგანო, როგორც მან უწოდა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტი. ორატორის აზრით, იგი აუცილებელია, მისი განსაზღვრით პოლიტიკური სამინისტროების — თავდაცვის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა სამინისტროების, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საქმიანობის კოორდინაციისათვის.

დისკუსიაში სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს შემდგომი ბედის შესახებ მონაწილეობა მიიღო დეპუტატმა **ა. დ. შელიკოვმა.** მან ილაპარაკა ამ სამინისტროს დიდ როლზე ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრებაში, აღმზრდელობითი პროგრამების განხორციელებაში, ხალხის სულიერ ცხოვრებაში. იგი არასოდეს არ უშლიდა ხელს რესპუბლიკებს ურთიერთობა ჰქონოდათ ერთმანეთთან, არ აფერხებდა ეროვნულ კულტურათა განვითარებას.

თუ ჩვენ, თქვა შემდეგ ორატორმა, რაღაც პრეტენზიები გვაქვს კულტურის სამინისტროსადმი, პრეტენზიები არსებობს სხვა სამინისტროების მიმართაც. მათ მოიცავს გარდაქმნა, და სამინისტროს შიგნითაც უნდა მიმდინარეობდეს რეკონსტრუქცია დღევანდელობის მოთხოვნათა პოზიციებიდან.

გამოვიდა რა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის წევრთა სახელით, დეპუტატი **ი. ი. ბოროდინი** შეეხო ვ. ა. ბიკოვის კანდიდატურას, რომელიც სსრ კავშირის სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის მინისტრობის პრეტენდენტია. ორატორმა თქვა, რომ ეს საკითხი ორი დღის განმავლობაში განხილებოდა. ამასთან დაკავშირებით, განაცხადა დეპუტატმა, შესაძლებლად მიეჩინაგვა მივეცეთ რეკომენდაცია ბიკოვის კანდიდატურას მინისტრად დამტკიცებისათვის. თუმცა ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხთა კომიტეტიდან კოლეგებმა უარყვეს ეს კანდიდატურა.

ორატორის აზრით, ეროვნგვარი არეულობაა სამედიცინო ტექნიკის და სამკურნალწამლო საშუალებათა წარმოებაში, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ მათ ამ სამინისტროსთან ერთად აწარმოებს ოცდათზე მეტი უწყება.

დეპუტატმა მხარი დაუჭირა იმასაც, რომ მთელი რიგი ცალკეული პრეპარატების წარმოება გადაეცეს ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, ხოლო სამინისტროში, რომლის ხელმძღვანელობა ნავარაუდევია დაეკალოს ვ. ა. ბიკოვს, შესთავაზა თავი მოუყარონ სამედიცინო პრეპარატებისა და წამლების გამოშვების.

დეპუტატმა **ვ. ი. სტადნიკმა** შეფოთება გამოთქვა დეპუტატთა წინადადებების ბედის გამო. მას აწუხებს, რომ ყველა ისინი არ ფიქსირდება. ამასთანავე დეპუტატები ამბობენ, რომ ეს წინადადებანი მომართულია მინისტრებისადმი. ხოლო უმაღლესი საბჭო ხომ საკანონმდებლო ორგანოა. ორატორმა გამოთქვა აზრი, რომ ყველა წინადადება უნდა დავაჯგუფოთ შესაბამის კომიტეტებში. ამით სამუშაოს მივაცემთ კომიტეტებს და დეპუტატთა წინადადებანიც უკვალოდ არ დაიკარგება.

შეაჯამა რა დისკუსიის შედეგები **მ. ს. გორბაჩოვმა,** კერძოდ, აღნიშნა, რომ გამოსულ დეპუტატს სტადნიკს ტყუილად ჭგონია, თითქოს დეპუტატთა ყველა წინადადება არ ფიქსირდებოდეს, მათი რაღაც ნაწილი უკვალოდ იკარგებოდეს. ყველაფერი ფიქსირდება. საჭიროა მხოლოდ ფიქსაციის შემდეგ ყველა საკითხი და წინადადება გავანაწილოთ მმართველებების მიხედვით და გადავცეთ კომისიებსა და კომიტეტებს. ეს თავისთავად ფიდელიზმება. პრობლემები, რომლებიც მთავრობას ეხება, გადავცეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

რაც შეეხება დისკუსიას იმის თაობაზე, გავაერთიანოთ თუ არა სამინისტროები, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, ჩვენ ხომ სამინისტროებს ვამსხვილებთ ერთი პირობით: ეს გაერთიანება აუცილებლად ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული ახალი სამინისტროების ფუნქციების შეცვლასთან. ჩვენ რომ უბრალოდ მექანიკურად გავამსხვილოთ სამინისტროები და მათი ფუნქციები უცვლელად დავტოვოთ, მართებული არ იქნებოდა. ეს იქნებოდა ზეცენტრალიზაცია, რომელიც დაღუპავდა საერთოდ საქმეს და შექმნიდა ისეთ ბიუროკრატიულ ზედნაშენს, რომელსაც არ შესწევს ნორმალური ფუნქციონირების უნარი.

როცა ამ საკითხს განვიხილავთ, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ზოგჯერ გვავიწყდება მთავარი— ეკონომიკის მართვის დეცენტრალიზაცია საწარმოს შესახებ კანონში მოცემული დებულებების რეალიზაციის მეშვეობით, რესპუბლიკურ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის მეშვეობით. ჩვენ ვადგავართ საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობის განვითარების გზაზე, რესპუბლიკების სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოებისა, თანაც მნიშვნელოვანი გაფართოების გზას. ადგილობრივმა საბჭოებმა უნდა განავითარონ თავიანთი პოტენციალი, ითანამშრომლებენ რა საწარმოებთან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თვითმმართველობის შესახებ ახალი კანონის საფუძველზე.

ამრიგად, ახალი ფუნქციების მქონე სამინისტროები სრულიად ახალ პირობებში იმოქმედებენ. ეს, რომ მთავრობამ ამ პრობლემის გადაჭრა განსაზღვრა როგორც პრიორიტეტული. ეს ეხება სოფლის სოციალურ საჭიროებებსაც.

იხილავენ იმ ფულადი სახსრების მატერიალური უზრუნველყოფის საკითხს, რომლებიც ტაჯიკეთს გამოეყო მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისთვის. საჭიროა, რომ ეს მილიონობით მანეთი რეალურად განმტკიცდეს ყველაფრიდან, რაც დაზარალებულ რეგიონს ესაჭიროება. საბჭოთა მთავრობის მეთაურის პირველი მოადგილის პოტაჩენკო კანდიდატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საკითხს კონტროლს უწევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მთლიანად გადაწყდება.

ლ. ა. ვორონინმა შემდეგ უპასუხა ქვეყნის ქვანახშირის მომპოვებელ საწარმოთა სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებულ კითხვებზე. იგი დაწვრილებით შეეხო სახალხო მოხმარების საქონლით შინაური ბაზრის უხვად ძოძრაგების გზებს. უკეი გისად გათვალისწინებულია საქონლის წარმოება გაიზარდოს თითქმის ორმოცდაათი მილიარდი მანეთით. ეს რთული ამოცანაა, მაგრამ მისი შესრულება ხელგვეწიფე?

ხალიბის უმრავლესობით **ლ. ა. ვორონინი** დაინიშნა სსრ კავშირის ინსპექტორთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე.

მ. ს. გორბაჩოვმა გამოაცხადა, რომ დეპუტატთა ჯგუფი წინადადებას იძლევა გაამარტივონ და დაარეგულირონ მთავრობის დამტკიცების პროცედურა, განიხილონ მხოლოდ ის კანდიდატები, რომელთა გამოც ეჭვი და უთანხმოება გამოთქვა კომისიებსა და კომიტეტებში.

ამაზე ადრე ის არის, აღნიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, რომ თითოეული კანდიდატის კანდიდატურა განხილულ იქნა, სამი, ზოგჯერ ოთხი კომისია. ეგრეთ ჩვენ ხომ ოცდაორი კომიტეტი და კომისია გვაქვს, დეპუტატთა ნაწილი არ მონაწილეობდა კანდიდატურების განხილვაში. ამიტომ ვერ წევრთმეზეთ მათ შესაძლებლობას, გაარკვიონ მთავრობის ამა თუ იმ წევრის პოზიცია.

არის წინადადება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნოს ი. დ. მასლიუკოვი.

დეპუტატებს მმართავს **მ. ს. გორბაჩოვი:** აი, რა მინდა გთხოვოთ, თქვა მან. ახლა თავმჯდომარეობას გადავცემ ამხანაგ ლუკიანოვს და თქვენი ნებართვითა და დავალებით წავალ ამხანაგ ჰონეკერთან შესახვედრად. იგი იმისთვის ჩამოვიდა, რომ მონაწილეობა მიიღოს მაგნიტკის იუბილეში. ამხანაგი ჰონეკერი ერთი იმათგანია, ვინც მონაწილეობდა მის მშენებლობაში, დღეს იგი გაემგზავრება მაგნიტოგორსკში. შეხვედრის შემდეგ სესიაზე დავბრუნდები.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ვიზიტი გრძელდება

28 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით საუზმე გაუმართეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ე. ჰონეკერს.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ვ. ა. მედვედევი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ე. ა. შევარდნაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ — ე. ჰონეკერის თანმხლები ოფიციალური პირნი.

საუზმის დროს გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში მ. ს. გორბაჩოვმა და ე. ჰონეკერმა წარმოთქვეს სიტყვები, რომლებსაც დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

ამავე დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელი მოსკოვიდან მაგნიტოგორსკს გაემგზავრა ქალაქის 60 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. სტუმარს თან ახლავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ი. ვოროტნიკოვი.

აეროდრომზე ე. ჰონეკერის გასაცილებლად მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანნი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე ვ. მ. ფალინი და სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომზე აღმართული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმები. (საქდეს).

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 148.

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მიიღო ლიხტენშტაინის ფირმის „ლიმ აგ“-ის პრეზიდენტი, მოსკოვში ფირმა „ი. ლ. მ.“-ის წარმომადგენლობის მეთაური პეტრე იგენბერგსი. იგი ჩამოვიდა თბილისში საბჭოთა კავშირ-ლიხტენშტაინის ერთობლივი საწარმოს „ტეკ“-ის (თეატრი, ტელევიზია, კინო) შექმნასთან დაკავშირებით, რომლის დამფუძნებლები არიან კინოსტუდია „ქართული ფილმი“ და ფირმა „ლიმ აგი“.

ნ. ჭითანავას გააცნეს საწარმოს მიზნები და ამოცანები, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკის თავადური სტუდიის რაც შეიძლება სწრაფად გადასვლას სრულ სამეურნეო ანგარიშსა და საავტორო თვითნაზღაურებაზე. „ტეკ“ განავითარებს თავის საქმიანობას სპეციალიზებულ-კომერციული პრინციპებით, გამოიყენებს ქართული კინემატოგრაფისა და ხელოვნების შემოქმედებითს და საწარმოო-ტექნოლოგ ი ურ შესაძლებლობებს.

საუბრის დროს განიხილეს რესპუბლიკის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ფირმა „ლიმ აგ“-ისა და სხვა საზღვარგარეთელი პარტნიორების ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობები. კერძოდ, შეისწავლიან ჩაის კუპაჟისა და შეფუთვის ერთობლივი საწარმოს შექმნის საკითხებს, თბილისში კულტურული ცენტრის მშენებლობაში უცხოელთა კომპანიების ჩაბმის, ჩარხშენებლობის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დარგში თანამშრომლობის შესაძლებლობებს და სხვა.

სტუმარმა თქვა, რომ „ტეკ“ საწარმომ დააწესა საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის ნატო ვაჩნაძის, სერგო ზაქარიაძისა და ვასილ ამაშუკელის სახელობის სამი სტიპენდია თითო 110 მანეთის ოდენობით. საწარმოს სახელით კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ოპერატორს თემურ ბაშალეიშვილს, რომლის ქალიშვილი ნათია ტრაგიკულად დაიღუპა 9 აპრილს, ათასი მანეთი გადაეცა. „ტეკ“-ის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება აგრეთვე უსასყიდლოდ აღჭურვოს კომპიუტერებით თბილისის ერთ-ერთი სკოლა.

პეტრე იგენბერგსმა რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელს გადასცა მიწვევა, მიიღოს მონაწილეობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საერთაშორისო ბაზრობაში, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში გაიმართება მიუნხენში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). ასეთი ღონისძიება პირველად ეწყობა და მიზნად ისახავს ფართოდ უჩვენოს აუდიოვიზუალური და ელექტრონული საშუალებები ინფორმატიკის, კულტურის და განათლების დარგში.

ნოდარ ჭითანავამ მადლობა გადაუხადა „ტეკ“-ის გამგეობას საქველმოქმედო საქმიანობის, რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, აღნიშნა საქართველოს მთავრობის დიდი ინტერესი დაამყაროს პირდაპირი კონტაქტები, გაფართოოს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა საზღვარგარეთელ პარტნიორებთან.

საუბარში მონაწილეობდნენ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი, „ტეკ“ ერთობლივი საწარმოს გამგეობის თავმჯდომარე რევაზ ჩხეიძე და ამ საწარმოს გენერალური დირექტორი ვახტანგ კორკელია. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ვითარება ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში თანდათან კალაპოტში დგება.

ყველგან მოეწყო საწარმო-ორგანიზაციათა კოლექტივებთან და მოსახლეობასთან პარტიული და საბჭოთა მუშაკების შეხვედრები, რომელთა დროს გაიმართა გულახდილი დიალოგი, აღძრა მწვავე სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, წარმოიდგა შესაბამისი ახსნა-განმარტება. გაფლილი დღის მანძილზე ამ რაიონებში არ მომხდარა არც ერთი დანაშაული, არ არიან დაშავებულნი.

მიუხედავად ამისა, რეგიონში მაინც დაძაბულობაა. 27 ივნისს ბოლნისში არ მუშაობდა ბევრი საწარმო. ცალკეული პირნი ჯერ კიდევ არღვევენ მართლწესრიგს, აღრიცხულია სატრანსპორტო საშუალებათა დაზიანების შემთხვევები. დმანისის რაიონის სოფელ საათლოში მცხოვრები მოხუცებენი ანალგაზრდების ჯგუფმა ქვა დაუშინა რამდენიმე მხუბუქ ავტომანქანას, მაგრამ სამართალდამცავმა ორგანოებმა ეს აქცია დროულად აღკვეთეს.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მთელ რიგ პირთა მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება. მაგალითად, ცივი იარაღის უკანონო ტარებისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 8 ნაწილის 288 მუხლით აღძრა სისხლის სამართლის საქმეები და დაპატიმრებული არიან ბ. ვეფხანელი, ე. ჯალაღანი, ტ. იუსუბოვი და სხვები.

სულ ამ დღეების მანძილზე მარტო მარნეულის რაიონში ჩამორომეულია 800-ზე მეტი იარაღი.

შინაგან საქმეთა ორგანოები კონტროლს უწევენ მდგომარეობას.

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება

პატივცემულო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრებო!

სახალხო დეპუტატთა ყრილობის მუშაობის დამთავრებიდან განვლილა ნახევარმა თვემ შესაძლებლობა მოგვცა უფრო ღრმად გაგვეაზრებინა მისი უდიდესი მნიშვნელობა მთელი საზოგადოებისათვის, გაგვეგო ის ახალი, რაც შეიტანა მან პოლიტიკური სისტემის განვითარებაში. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ყრილობა უნიკალური მოვლენა გახდა სახელმწიფოს ცხოვრებაში.

ნაკლებად მნიშვნელოვანი რიდია, რომ მან შექმნა აქტიური, ნამდვილად ქმედუნარიანი და თავისი არსით ხალხის ინტერესების უზრუნველყოფისათვის გამოხნული ქვეყნის მუდმივმოქმედი პარლამენტი. გადაიდგა უდიდესი საბიჯი დემოკრატიის განვითარების გზაზე. ამაში ყველაზე უკეთ ვლინდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა კომისიებისა და ასევე კომიტეტების მუშაობა. ვაფასებთ რა დროის მოკლე მონაკვეთში ყოველივე გაკეთებულს, როცა ისინი ახლადგადგენილ მთავრობის მიერ წარმოდგენილ სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურას და მსჯელობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაზე, შეიძლება ხატოვნად ვთქვათ — ყრილობის მიერ შობილ ატმოსფეროს აქტიურად უჭერდნენ მხარს სახალხო დეპუტატები მთელი ამ დღეების მანძილზე.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ კომისიებისა და კომიტეტების სხდომებზე მრავალი გამოსვლიდან და სახალხო დეპუტატებთან „ზრდა“ გაზიარებიდან? ალბათ მათ შევეხებოდე, მინდა აზგასმით აღვნიშნო, რომ ყოველივე, რაც თქვეს მიერ შემოტანილი წინადადებების განხილვის დროს მოხდა, უკვე ახლა, ახასიათებს ის საქმის ურთიერთობას, რომელიც იქნება მთავრობას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსთან, მის კომისიებთან და კომიტეტებთან.

ჯერ ერთი, გამოვეთხოვეთ „ძილის სამეფოს“ ამგვარ სიტყვებზე, იგი წარსულს ჩაბარდა, და დარწმუნებული ვარ, სამუდამოდაც. აქტიურობა, არაფორმალური და არაგულგრილი დამოკიდებულება, გულწრფელი დისკუსია, მსჯელობის გულახლილობა და მომთხოვნელობა — აი ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები, რაც გამოვლინდა უშობაში და რაკაც იმ შეფასების ქვეკუთხედად მივიჩნევ, რომლის მიცემაც დღეს შეიძლება.

მეორე, აშკარად დაიგმო სსრ კავშირის მთავრობის ფორმალისტური ხასიათი და სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურული ცვლილებების კანონეტრი პრაქტიკა, სახელმწიფოს წამყვან პოსტებზე დასანიშნ პერსონალიების კანდიდატურების მიდგომა, რომელიც ათწლეულების მანძილზე არ იცვლებოდა. ეს უჩვეულოა და ამავე დროს მოწმობს, რომ ჩვენ პარლამენტის რეფორუტიურობა ეხმიანება გარდაქმნის გრანდიოზულ ჩანაფიქრს.

შეკამე — ეს ეს, უნდა ითქვას, ყველაზე მთავარია, რომ ჯერ კიდევ არასოდეს ასე საფუძვლიანად, ყოველმხრივ, მე ვიტყოდი, ძალიბითაც, არ განხილულა ამგვარი წინადადებანი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. უდავოა, ეს ფაქტი მეტად დადებითი, დამამეფდებელია: სიმტკიცის ნამდვილი შეოწმება არსებითად ხომ ყოველი მთავრობის, პრინციპულმა ინდგომამ ეკონომიკის მართვის სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელებისადმი. შემოწმება საკმაოდ მკაცრი იყო. მე მხოლოდ მადლობა უნდა ვუთხრა დეპუტატებს მომთხოვნელობისა და პრინციპულობისათვის.

ახლა შევეხები ძირითადს — იმას, თუ რა მოგვაკა და რა ნაბიჯებს გადაგვადგმევინებს შემდგომში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიებისა და კომიტეტების სხდომებზე მთავრობის წინადადებათა განხილვის შინაარსობრივი ნაწილი.

საქმე ის არის, რომ სახალხო დეპუტატებმა გამოთქვეს ბევრი სასარგებლო და კონსტრუქციული წინადადება. ყოველად შეუწყნარებელი იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ მათ მთავრობის საქმიანობის პროგრამის ფორმირების, აგრეთვე მისი შემდგომი მუშაობის ორგანიზაციის დროს.

თუ განვაზოგადებთ ყველაზე მთავარს, რაც უნდა ავიღოთ ამ ფრიად კონკრეტული და უაღრესად საყურადღებო სიტყვიდან სახალხო დეპუტატთა მიერ ყოველივე თქმულის არსი შეიძლება შემდეგი განვსაზღვროთ.

პირველი. ეს არის წინადადებათა კომპლექსი, რომლებიც ეხება სახელმწიფო მმართველობის ყველა ორგანოს მუშაობაში და უწინარეს ყოვლისა — ჩვენს წინაშე დასახული გადაუდებელი ამოცანების დაჩქარებული გადაწყვეტის საქმეში სოციალური მიმართულების უფრო მეტ გაძლიერებას, ვიდრე დასახული იყო. ამ წინადადებათა შორის არის ისეთებიც, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ მთლიანად შევაფასოთ სახალხო მეურნეობის განვითარებაში პრიორიტეტების სისწორე. ეს ეხება სამომხმარებლო საქონლით ბაზრის უხვად მომარაგებას, ბინების მშენებლობასა და სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალური ბაზის განვითარებას, ადამიანის სულიერი ზრდის პირობების შექმნას.

პრაქტიკულად ყველა კომისიისა და კომიტეტის სახალხო დეპუტატებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სოფლის პრობლემებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფაში მდგომარეობა სულ უფრო მწვავდება, ახლად შექმნილმა მთავრობამ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსთან ერთად ყრილობის დადგენილების შესაბამისად უნდა განახორციელოს გადაუდებელ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც რეალურად შესაძლებლობას მოგვეცემენ გარღვევიდან გამოვიყვანოთ ეს უმნიშვნელოვანესი დარგი.

მეორე. ეს არის მთავრობის მიერ მიღებული ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური გაჯანსაღების პროგრამის მნიშვნელოვანი დამატებანი, ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ უფრო ღრმად დავამუშაოთ ეს საკითხი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსთან, მის კომისიებთან და კომიტეტებთან ერთად და მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

შემდეგ. ეს არის მთელი რიგი საგნობრივი შენიშვნები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ახლებურად შევაფასოთ და გამოვიყენოთ რადიკალური ეკონომიკური რეფორმის დაჩქარებისა და გაღრმავების შესაძლებლობანი.

და, ბოლოს, ეს არის პრინციპულად ახალი მიდგომა მმართველობის უმაღლეს რგოლში საკადრო პოლიტიკის განხორციელებისადმი.

ვითვალისწინებთ რა, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კომისიებისა და კომიტეტების მიერ მოწონებული წინადადებების თაობაზე სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურის შესახებ, დავიწყებ სწორედ- ამით.

უნდა ვთქვა, რომ „სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სტრუქტურის შესახებ“ არსებითი შენიშვნები არ ყოფილა. მართალია, ცალკეული დეპუტატებს შეექმნათ რამდენიმე თვალსაზრისი ზოგიერთ სამინისტროსა და უწყების გაყოფის ან გაერთიანების მიზანშეწონილობის შესახებ, მაგრამ ამგვარ წინადადებებს ძირითადად დეპუტატთა სათანადო მხარდაჭერა არ ჰქონიათ, ამიტომ საჭიროდ არ ვთვლით ვილაპარაკოთ თითოეულ მათგანზე დაწვრილებით.

ამავე დროს სსრ ასეთი შენიშვნას უნდა შევეხოთ.

მშენებლობისა და არქიტექტურის საკითხთა კომიტეტს ნაადრევად მიაჩნია სსრ კავშირის საშენ მასალათა სამინისტროს ლიკვიდაცია და ამას ასაბუთებს მთელი რიგი მიზეზებით, კერძოდ ამით, რომ დახვეწილი არ არის ზოგიერთი სანორმატივო აქტი და დებულება.

ამ საკითხის გულმოდგინე დამატებითმა შესწავლამ ცხადყო, რომ საფინანსოდგენო მოსაზრებანი არ შეესაბამება ახალი რეგიონული პოლიტიკის პრინციპებს, აგრეთვე, მეურნეობრიობის დემოკრატიულ ფორმებზე გადასვლას, კვლავ იწვევს სამშენებლო წარმოების მართვაში ცენტრალისტური საწყისების გაძლიერებას.

როგორც ცნობილია, 1988 წელს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების (რუსეთის სფსრ რესპუბლიკის გარდა) უშუალო გამგებლობას გადაეცა საიჯარო სამშენებლო სამინისტროები და საშენ მასალათა მეტი ნაწილის წარმოება.

ამ პრობლემაზე მუშაობის წელიწადნახევარმა გვიჩვენა, რომ ძირითადად ყველა რესპუბლიკა ახლა საგნობრივად მუშაობს ამ საკითხებზე. მათ მიერ ჩამოყალიბებული პროგრამები საშუალებას გვაძლევს ორი სამი წლის მანძილზე გადავიგეთ საშენი მასალებით თვითუზრუნველყოფაზე. ამრიგად, საშენ მასალათა მრეწველობის გადაცემის კურსი გამართლდა. ეს დაბეჯითებით გვიკარნახებს, რომ აუცილებელია რესპუბლიკებს გადავცეთ მშენებლობიათვის საჭირო სხვა მასალების წარმოება.

ამავე დროს, ჩვენი აზრით, უნდა შევინარჩუნოთ ცემენტის, აზბესტისა და მისი ნაწარმის ცენტრალიზებული წარმოება. და, ბუნებრივია, საკმარისი საფუძველი არ არის ვიქონიოთ საკავშირო სამინისტრო მარტო პროდუქციის ამ შეზღუდული სახეობების მიხედვით. აქ უფრო რეალური გზაა შექმნათ დემოკრატიული და სამეურნეოანგარიშიან პრინციპებზე მოქმედი რამდენიმე დიდი კონცერნი.

რა თქმა უნდა, ეს გარემოება, ისევე როგორც რუსეთის ფედერაციის გამგებლობაში საერთო სამშენებლო სამინისტროების გადაცემა, არსებითად შეცვლის სსრ კავშირის სახშენის ფუნქციებს. ეს უნდა გავაკეთოთ, თუ ჩვენ საქმით, და არა სიტყვით ვაპირებთ განვახორციელოთ ახალი რეგიონული პოლიტიკა, გავაფართოოთ მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები, გადავცეთ მათ რეალური ძალაუფლება მეურნეობრიობის სისტემაში. ჩვენი მოქმედების ლოგიკა ამკვიდად ისეთია, რომ უნდა დავიწყოთ ძალაუფლების განაწილება. ეს რეალობაა, და მას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ახლა მეორე შენიშვნის შესახებ. ზოგიერთი კომისიისა და კომიტეტის სხდომებზე გამოითქვა მოსაზრებანი, რომ მიზანშეუწონელია ატომური ენერგეტიკის სამინისტროს გამგებლობიდან ატომური ელექტროსადგურების ექსპლოატაცია გადავცეთ საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროს გამგებლობაში. ამავე დროს წინადადებას იძლევიან ეს არ ჩავრთოთ საქმიანობის ეს სფერო სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროში, არამედ გავაუქმოთ ატომური ენერგეტიკის სამინისტრო და შევქმნათ შესაბამისი მთავარი სამმაგეული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან.

სახალხო დეპუტატებს უნდა ვაცნობოთ, რომ ატომური ენერგეტიკის მართვის სტრუქტურის, სხვა სახალხო-სამეურნეო კომპლექსებთან მისი ურთიერთობის საკითხი ძალზე გულმოდგინედ შევისწავლეთ ჩერნობილის ავარიის შემდეგ.

პრობლემა იმდენად რთული იყო, რომ მისი ბოლომდე გადაწყვეტა იმ პერიოდში ვერ მოხერხდა, თუმცა გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით გადაიდგა. მაგალითად, გავითვალისწინეთ რა, რომ ატომურ ენერგეტიკაში ტექნიკური დონე არსებობად უფრო მაღალი იყო, ვიდრე მოლიანად სსრ კავშირის ატომური ენერგეტიკის სამინისტროში, და უკანასკნელ წლებში დაიწყო შემცირება ამ სამინისტროს საერთო დონემდე, ნაილი გახდა, რომ საჭიროა აღნიშნული ქვედარგის გამოყოფა ენერგეტიკის სამინისტროდან, რათა თავიდან აცილოთ შემდგომი უარყოფითი გავლენა მასზე, რაც გაკეთდა კიდეც.

ამავე დროს ბოლომდე არ იყო გადაწყვეტილი საკითხები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს კომპლექსურად მივუდგეთ ატომური ენერგეტიკის პრობლემებს, განსაკუთრებით მის უსაფრთხოებას. კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები, მოწყობილობის დამზადება, მისი დამონტაჟება და ექსპლოატაცია, ბირთვული საბობის გადამუშავება და შენახვა დაუსაქმული აღმოჩნდა სხვადასხვა სამინისტროში.

ორი სამინისტროს შემოთავაზებული გაერთიანება, აგრეთვე მათთვის მთელი რიგი სხვა დარგებიდან წარმოებათა გადაცემა მათი მექანიკური შერწყმა კი არა, ნაბიჯია, რომელიც მიზნად ისახავს ატომური ენერგეტიკის კომპლექსურ განვითარებას და უწინარეს ყოვლისა ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ამრიგად, ყოველივე ეს ნაკარნახევია ქვეყნის ატომური ენერგეტიკის განვითარებაში ყველაზე სერიოზული გარემოებებით. სწორედ ამ პოზიციებიდან მას შემდეგ, რაც ერთხელ კიდევ გულმოდგინედ შევისწავლეთ ეს პრობლემა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოგვაქვს წინადადება სსრ კავშირის ატომური ენერგეტიკის სამინისტროს და სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ბაზაზე შეიქმნას სსრ კავშირის ატომური ენერგეტიკისა და მრეწველობის ერთიანი სამინისტრო. რაც შეეხება ერთ-ერთ სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სტრუქტურაში მის შეტანას, ამას ცალკე განვიხილავთ.

ზოგიერთი დეპუტატი სვამდა საკითხს, მიზანშეწონილია თუ არა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს არსებობა და საკმარისად მიაჩნდა ასეთი სამინისტროების არსებობა მოკავშირე რესპუბლიკებში. იყო ასეთი წინადადებებიც. ვიფიქროთ მთავრობაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კულტურის საკითხებში და დავუტოვოთ საკავშირო სამინისტროებს წმინდა სამეურნეო საკითხები. უნდა გითხრათ, ამხანაგებო, რომ ამაზე ერთმნიშვნელობიანი აზრი გვაქვს — ქვეყანაში უნდა იყოს ქმედითი კულტურის საკავშირო სამინისტრო, რომელიც ქვეყნის მთელი მრავალფეროვანი კულტურული ცხოვრების სრულფასოვნად წარმომადგენელი იქნებოდა.

ამხანაგებო!

მინდა უფრო დეტალურად განვიხილოთ სახელმწიფო მმართველობის უკლებლივ ყველა ორგანოს ფუნქციების ახალი შინაარსით გამდიდრების საკითხი.

ყველაზე მწვავედ და სამართლიანად გააკრიტიკეს ცენტრალური ეკონომიკური ორგანოები. რა უნდა გავითვალისწინოთ, ჩემი აზრით, აქედან?

უწინარეს ყოვლისა, უმოკლეს ვადებში უნდა დავაზუსტოთ ახალი რეგიონული პოლიტიკის ზოგიერთი დებულება, რომლებიც ცენტრისა და მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკურ ურთიერთობას ეხება. აქ იყო მრავალი წინადადება და შენიშვნა. მთავარ გამომდინარეობს მტკიცე მოთხოვნილება ერთხელ კიდევ დავუბარნედეთ რესპუბლიკების სამეურნეო დამოუკიდებლობის შემდგომ გაფართოებასთან, მათი ეკონომიკური ბაზის განმტკიცებასთან, სამინისტროთა და ტერიტორიათა მტკიცე უფლებამოსილებათა თანაფარდობასთან დაკავშირებული პრობლემების მთელი კომპლექსის განხილვას.

ამ დღეებში კომისიებსა და კომიტეტებში გაშლილმა მწვავე პიქრობამ სოციალისტური ბაზრის ჩამოყალიბების გზების შესახებ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ აქაც გადასაწყვეტი გვაქვს რთული პრობლემები. უნდა ვთქვა, რომ სავსებით შეგნებულად ავირჩიეთ ეს მიმართულება როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გადამწყვეტი, მიგვანინა იგი სწორად და პერსპექტიულად, რასაც ერთსულოვნად დაუჭერა მხარი ყრილობამ.

ამავე დროს სახალხო დეპუტატებმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე თვალსაზრისთა წინააღმდეგობრიობის გამო, როგორც არის საბაზრო ურთიერთობის რეგულირება. ვითვალისწინებ რა იმას, რომ ამ თემამ დიდძალი კითხვები გამოიწვია ამხანაგების აბალაკინის, მასლიუკოვის, აგრეთვე მთავრობაში ხელმძღვანელი თანამდებობის ზოგიერთი სხვა კანდიდატებისადმი, მინდა ერთხელ კიდევ გამოვთქვა ჩემი მოსაზრებანი ამის გამო.

მე მგონი, ამ საკითხში უმთავრესი და პრინციპული მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ საბაზრო ურთიერთობის სახელმწიფო რეგულირების საზღვრები. და აქ სავსებით ვეთანხმები მრავალი სახალხო დეპუტატის აზრს, იმის თაობაზე, რომ ცენტრალურმა ეკონომიკურმა ორგანოებმა, და პირველ ყოვლისა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სახმომარაგებამ, ფინანსთა სამინისტრომ, ფასების სახელმწიფო კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად უნდა გადაწყვიტონ ორი პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი ამოცანა:

პირველი — ეს არის ამ ურთიერთობის რეგულირების თვით ინსტრუმენტების შემუშავება. მხედველობაში მაქვს საგადასახადო სისტემა, ფასების რეგულირების ახალი მეთოდები. საბითუმო ვაჭრობის განვითარება და ა. შ.

მეორე — ისეთი პირობების შექმნა და, ხატოვნად რომ ვთქვათ, ისეთ შემზღუდველთა ამოქმედება, რომლებიც საშუალებას არ მოგვცემს განვახორციელოთ ეს რეგულირება მეთოდებით, რომლებიც ეწინააღმდეგება ბაზრისათვის დამახასიათებელ კანონებს. თეორიულად და პრაქტიკულად უნდა განვსაზღვროთ საბაზრო ურთიერთობაზე მარეგულირებელი ზემოქმედების სიღრმე. არსი ის არის, რომ სახელმწიფოს მხრივ ბაზარზე გავლენა არავითარ შემთხვევაში არ აფერხებდეს მის განვითარებას.

რაღა თქმა უნდა, როგორც პირველი, ისე მეორე ამოცანის გადაწყვეტა უნდა ექვემდებარებოდეს უწინარეს ყოვლისა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და მისი სოციალური დაცულობის უზრუნველყოფას.

სავსებით ბუნებრივია, რომ სახალხო დეპუტატების მიერ სსრ კავშირის მინისტრთა ნაბჭოს ახალი შემადგენლობის განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საერთო საკავშირო სამინისტროებისა და კომიტეტების საქმიანობას. ყველას ერთი შეფასება ჭქონდა, რომ მმართველობის ვიწროდარგობრივი ორგანოების ფართოდ განვითარებული სისტემა გახდა ფაქტორი, რომელიც არ იძლევა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის მოლიანად გაშლის შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით მოიყვანეს ბევრი კონკრეტული მაგალითი. კერძოდ, აღინიშნა, რომ ზედმეტი ცენტრალიზაცია საკავშირო დონეზე გადაწყვეტილებათა შემუშავებაში მნიშვნელოვანწილად ამცირებს რესპუბლიკების ეკონომიკის კომპლექსური განვითარების შესაძლებლობებს, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის ეფექტიანობას, არ გვაძლევს საშუალებას სრულად გავითვალისწინოთ ტერიტორიების ინტერესები, მათი დემოგრაფიული და სხვა პირობები.

სწორედ ამტომ ვამბობთ, რომ საჭიროა შეიქმნას ახალი ტიპის სამინისტროები, მათი მუშაობა შეიჭესოს ახალი შინაარსით, ბევრი ფუნქცია, რომლებსაც ახლა ისინი ასრულებენ, გადაეცეს უშუალოდ საწარმოებსა და ტერიტორიებს. მინისტრების პოსტებზე კანდიდატურების განხილვის დროს დეპუტატები ბევრს გვეკითხებოდნენ, თუ რა იგულისხმება ამით — ეს ფუჭი საკითხი როდია.

იგი უნდა გადაწყდეს უწინარეს ყოვლისა იმ გზით, რომ მკაცრად გაიმიჯნოს და ზუსტად განისაზღვროს სახელმწიფო მმართველობისა და უშუალო მეურნეობრიობის, საგეგმო და საშემსრულებლო სამმართველოების ჯერჯერობით შერეული ფუნქციები.

არ არის იმის საჭიროება, ვამტკიცოთ, რომ სამინისტროთა ფუნქციებში რადიკალური ცვლილებების არარსებობა ამუხრუჭებდა ძირითადი რგოლის პროგრესული საწარმოო სტრუქტურების ჩამოყალიბებას, და რაც მთავარია, აფერხებდა მისი მუშაობის ეფექტიანობის ზრდას. ყრილობაზე და კომისიებში შემდგომ გამართულ განხილვაზე ერთიანი ვიყავით მისწრაფებაში, რომ კვლავაც მტკიცედ ვიიარით საუწყვებათშორისო წარმოებების, მრავალგვარი თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნისა და განვითარების გზით, რომლებსაც საფუძვლად დაედება საკუთრების სხვადასხვა ფორმები, მათ შორის სამინისტროებისა და უწყებების ფარგლებს გარეთ. სწორედ ამ გზით, როგორც წარმოგვიდგენია, დავძლევთ ბევრი საწარმოს ახლა შექმნილ მონოპოლიურ მდგომარეობას, განვავითარებთ კონკურენტობის, პროდუქციის ტექნიკური სრულყოფისა და ხარისხისათვის ბრძოლის პრინციპებს.

ვაჯამებთ რა მმართველობის დარგობრივი შტაბების შესახებ ნათქვამის შედეგებს, შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ სავსებით სწორად ვახორციელებთ მათი ფუნქციების თანამიმდევრულ და ღრმა ცვლილებას, მტკიცედ ვამსხვლეთ დარგობრივ სტრუქტურებსა და ზედა ეშელონების უფლებებს, გადავცემთ მმართველობის რესპუბლიკურ, ადგილობრივ ორგანოებს და უშუალოდ წარმოების ძირითად რგოლს. ასეთი კურსის სისწორე დაადასტურა სახალხო დეპუტატთა მიერ მეურნეობრიობის თანამედროვე პირობებში სამინისტროთა ახალი როლის განხილვის მთელმა მიმდინარეობამ. მთავრობა აპირებს კვლავაც იაროს ამ გზით და იმედი აქვს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ყოველნაირად ეფერება ამ გზას.

განსაკუთრებული მსჯელობის ღირსია თემა: სამინისტრო და რადიკალური ეკონომიკური რეფორმა. არ შემიძლია არ დავეთანხმო დეპუტატთა დიდი ჯგუფის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს. მართლაც, ბევრი ჩვენი სამინისტრო ნელა გარდაქმნებოდა მეურნეობრიობის ახალი პრინციპების განვითარებაში, პირდაპირ არღვევდა სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონს მოთხოვნებს. ყოველივე ეს იყო, და, სამწუხაროდ, მთელ რიგ შემთხვევებში ახლაც არის.

მთავრობა კვლავაც გადამწყვეტ ღონისძიებებს განახორციელებს, რათა აღმოფხვრას ეკონომიკური რეფორმის პრინციპების ყოველი დარღვევა. სწორად და უაღრესად სასარგებლოდ მიმაჩნია, თუ სახალხო დეპუტატები აგრეთვე აქტიურად ჩაებმებიან ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში.

და, ბოლოს, მინისტრების პოსტებზე კანდიდატურების განხილვის დროს მათ აძლევდნენ კითხვებს ისეთი ეკონომიკური გარემოს შექმნაში სამინისტროების როლის შესახებ, რომელიც შესაძლებლობას მისცემს უფრო ეფექტიანად განვითარონ ძირითადი საწარმოო რგოლი მეურნეობრიობის ახალ პირობებში. მხედველობაში ჰქონდათ საბაზრო ურთიერთობაც და ნორმატიული ბაზაც, რეგიონალური გარდაქმნაც და სხვა საკითხების მთელი კომპლექსიც.

უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთი მომავალი მინისტრი იმის ნაცვლად, რომ დაესაბუთებინა თავისი შეხედულება და პოზიცია ამ მნიშვნელოვან საკითხებზე, იმოწმებდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — თუ საქმე ეხებოდა ნორმატივებს, სახმომარაგებას — როცა კითხვა ეხებოდა საბითუმო ვაჭრობას, ფასების სახელმწიფო კომიტეტს — ჭროდუქციის ფასების ძალიან სწრაფ ზრდასთან დაკავშირებულ სიტუაციებში, ფინანსთა სამინისტროს, აგრეთვე ბანკებს, თუ საუბარი ეხებოდა ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის შეუსაბამობას. ესე იგი უმაღლესი პოსტების მთელ რიგ კანდიდატებს ჯერ კიდევ მკაფიოდ არა აქვთ შეგნებული თავიანთი როლი ამ უმნიშვნელოვანეს საქმეებში. ალბათ, ამის მიზეზი ის არის, რომ ცენტრალურმა ეკონომიკურმა ორგანოებმა ბევრი რამ მოაქციეს თავიანთ ხელში. ამასთან დღემდე მთავრობასაც არ დაუმტკიცებია ახალი დებულება სამინისტროებისა და უწყებების შესახებ, რომელიც გაითვალისწინებს მეურნეობრიობის ახალ პირობებში მათი როლისა და ფუნქციების შეცვლას.

დისკუსიებმა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ პრობლემები მეურნეობრიობის მექანიზმის სრულყოფის საქმეში ძალზე ბევრია. ამასთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია, წინადადებაა შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ეკონომიკური რეფორმის სახელმწიფო კომისია, რომელსაც, როგორც ვვარაუდობთ, სათავეში ჩაუდგება აკადემიკოსი აბალკინი. მისი კანდიდატურა მოიწონეს შესაბამისმა კომისიებმა და კომიტეტებმა. ალბათ უნდა ვთქვა, ამხანაგებო, რომ ამ კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ეკონომიკური რეფორმის განვითარების თაობაზე სამინისტროებისა და უწყებების მიმართ სხდომებზე გამოთქმული ყოველივე სასარგებლო, მაგრამ თავის მუშაობაში — ამას განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს — არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასწოროს მათი მაგივრობა.

დარგობრივი ხასიათის მრავალი საკითხის მიუხედავად, მინდა აღვნიშნო ის ყურადღება, რომელიც სახალხო დეპუტატებმა გამოიჩინეს ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალ დარგებში საქმის ვითარების განხილვისადმი. და ძალზე სწორია, რომ ძირითად ყურადღებას აქ მიაპყრობდნენ არა მიღწევებსა და მაღალ მაჩვენებლებს მათს განვითარებაში, არამედ იმას, თუ როგორ ესმოდათ მინისტრების პოსტების კანდიდატებს შესაბამისი ტექნიკით სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ექიპირვის საჭიროებასთან ერთად თავდაცვითი წარმოებების კონვერსიის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებაზე მათი პროფილის შეცვლის ღონისძიებათა გასაკუთრებული მნიშვნელობა.

სავსებით ვეთანხმები დეპუტატებს, რომლებიც აღნიშნული სამინისტროებისაგან მოითხოვდნენ, რომ მიმდინარე ხუთწლედის დარჩენილ პერიოდსა და მთელ მომავალ ხუთწლედში თავიანთი მეცადინეობა მათ მოახმარონ წარმოების ხელახალი სოციალური ორიენტაციის გაძლიერებას. ამ დარგების მუშაობა ჩვენ მუდამ ველში უნდა შევაფასოთ აგრეთვე იმ წვლილით, რომელსაც ისინი შეიტანენ რთულ საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე, ხანგრძლივი სარგებლობის საქონელსა და ყოველდღიური მოთხოვნილ პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

სიტყვამ მოიტანა და, სწორედ თავდაცვით წარმოებათა კონვერსიისთვის გაშლილი მუშაობის თვალსაზრისით განიხილეს კომისიებისა და კომიტეტების სხდომებზე მთელი რიგი სხვა სამინისტროების შესაძლებლობანი, რომლებმაც აგრეთვე უნდა განახორციელონ დარგების ხელახალი ორიენტაცია ხალხის მოთხოვნილებათა კიდევ უფრო მეტად დაკმაყოფილებისათვის. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება მანქანათმშენებლობის კომპლექსს. ჩვენი აზრით, ამით დეპუტატები ავლენენ განსაკუთრებულ ზრუნვას ქვეყანაში ეკონომიკური ინიციატივის ამოსავლად, რომ ასეთი რთული ღონისძიება, რომელსაც პირველად მივმართეთ ჩვენს ქვეყანაში, განხორციელდეს ღრმად მოფიქრებულად, მოკლე ვადებში, და იმ ბიუროკრატიული და ადმინისტრაციულ-მმართველ ობითი გაჭიანურების გარეშე, რომელიც ხშირად არარად აქცევს ხოლმე ყველაზე კარგ წამოწყებებს. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სხვა ეკონომიკურმა ორგანოებმა მოკავშირე რესპუბლიკებთან მჭიდრო თანამოქმედებით უნდა შექმნან საჭირო პირობები და მოსპონ ყველა დაბრკოლება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს სამინისტროებსა და საწარმოებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების რეალიზაციაში.

ამხანაგებო!

არ ვილაპარაკებ ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემების მთელ სპექტრსა და ამ საქმეში მთავრობის როლზე. მისთვის სსრ კავშირის კონსტიტუციით დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე. ეს დაწერილებით ითქვა ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში. მაგრამ მაინც მინდა გამოვყო ორი პრობლემა, რომლებზეც ლაპარაკი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შესაბამის კომიტეტში თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხილვისას.

პირველი მათგანი უკავშირდება თავდაცვისათვის გაწეულ ხარჯებს. საბჭოთა სახელმწიფოს მზარდი საშვიდობო ინიციატივების შესაბამისად ახალი სამხედრო დოქტრინის პრინციპებზე დაყრდნობით ჩვენ თანამიმდევრულად განვახორციელებთ ამ დანახარჯების შემცირების ღონისძიებებს. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფისადმი ჩვენს მიდგომებს საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ და მხოლოდ გონივრული საკმარისობის მოთხოვნები. კომიტეტის სხდომაზე ამის გამო აზრთა გაზიარება დადაიქცა სერიოზულ სჯა-ბაასად იმის შესახებ, თუ რა ცვლილებანი უნდა მოხდეს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობაში.

რა თქმა უნდა, გონივრული საკმარისობის პრინციპი განმტკიცებული უნდა იყოს თვისებრივად ახალ საფუძველზე შეიარაღებული ძალების შემდგომი ხელახალი ტექნიკური აღჭურვით. და სანამ გარემოებანი ამას გვაიძულებს— მთავრობის მხრივ და, ვფიქრობ, სახალხო დეპუტატთა მხრივ, მოვალენი ვართ ყოველნაირი მხარდაჭერა გავუწიოთ და ყურადღება არ მოვაკლოთ არმიას, ყველაფერი ვიღონოთ, რათა განვამტკიცოთ და შევინარჩუნოთ მისი დიდი პრესტიჟი და ავტორიტეტი.

ვფიქრობ, სპეციალურად უნდა განვიხილოთ სახალხო დეპუტატთა წინადადებანი იმის შესახებაც, რომ თავდაცვითი საჭიროებებისათვის ხარჯების შემცირების ფო საგარეო-ეკონომიკური კომისია და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტრო. [illegible] ადგა ეკონომიკურ [illegible] ... სამინისტრო. ამის [illegible] ... ეს, უნდა [illegible] ... ვაქციოთ ... ბა.

[illegible] ... ბა ... ბა ... ბა

გზები საინგილოსკენ

ვიდრე სათქმელს ვიტყვი, მინდა აღვნიშნო, რომ წერილის მიზანი სრულებით არ არის თავის მოწონება ან ვისმესთვის ხოტბის ესმა „საქმეთა საგმიროთა“ გაინ. საინგილოს პრობლემა არსებ- ...ს და ჩვენდა საბედნიეროდ, ...ს უკვე ლეგალური გზით იდ- ...ება პირველი ნაბიჯები მის მოსა- ...ბგარებად, რის გარანტიასაც ...ერ რესპუბლიკას შორის დადებ- ...ული სამთავრობო გადაწყვეტილ- ...ება იძლევა. გასაკვირველი კი ...ალზე ბევრია. ვერც ერთი ხელ- ...შეკრულება და დადგენილება ვერ ...აიტევს უამრავ საჭიროთოროტ- ...საკითხს, რომელიც დაკავშირებუ- ...ლია დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ, ...ნ ეკონომიურ და კულტურულ პრო- ...ბლემებთან. ამ საქმეში რესპუბლ- ...იკის ყველა უწყება თუ სამინისტ- ...ო თავის სათქმელს იტყვის უთ- ...ოდ, ვინაიდან სწორედ დარგობ- ...რივი, კვალიფიციური და ღრმად ...გააზრებული პრაქტიკული დახმა- ...რება ესაჭიროება საინგილოს.

ახლახან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომლის მიზანია კოორდინაცია გაუწიოს რეგიონის კულტურული მოსახურეობის, კადრების მომზადების, კულტურის ობიექტების კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტების, შემოქმედებითი საქმიანობის გაშლისა და ...ენ საბელოვანი შემოქმედებითინტელიგენციის საინგილოს ...ულ მოსახლეობასთან შეხვედ- ...ების ორგანიზაციისა და სხვა ...ენელოვან საკითხებს.

...ველივე ეს არ ნიშნავს იმ- ...ს, რომ კულტურის სამინისტ- ...ოს, ზოგადად ახლა „მოიცალა“ საინგილოსათვის. გასული წლებიდ- ...ანაც შეიძლება დავასახელოთ ...ერთიერთობის მაგალითები, მაგ- ...რამ ყველაფერ იმას, რაც საინგი- ...ლოსთვის წინათ კეთდებოდა, მა- ...ინც არასისტემური ხასიათი ...ჰქონდა.

კულტურის სამინისტრომ არა- ...საკმარისად მიიჩნია ამ მიმართებ- ...ით გაწეული მუშაობა და სწორ- ...ედ ამიტომ შექმნა საინიციატივო ...ჯგუფი, რომლის ჩასვლასაც საინ- ...გილოში მიზნობრივი დანიშნულ- ...ება ჰქონდა. აღსანიშნავია აზერ- ...ბაიჯანის სსრ კულტურის სამინი- ...სტროს გულთბილი გამოხმაურე- ...ბა, სწორედ მათი მხარდაჭერით გა- ...ხდა შესაძლებელი საინიციატივო ...ჯგუფის მისვლა სასურველ დონეზე წარმართულიყო. ჯგუფის წევრებმა ადგილზე შეისწავლეს კულტურის სფეროში არსებული პრობლემები, შეარჩიეს ნიჭიერი ბავშვები მომავალი შემოქმედებითი კადრების აღსაზრდელად. დელეგაციამ საჩუქრად ჩაიტანა წიგნები, აღნიშნეს ქართულ თეატრს გადასცა ქართველი მხატვრების 23 ნაშუშევარი, მათ შორის 18 გრაფიკული და 5 ფერწერული. ქართულ მოსახლეობასთან შეხვედრებში გამოიკვეთა მათი სატკივარი, ის საკითხები, რომლებიც უახლოეს მომავალში მოითხოვს გადაჭრას. თავად მოუსმინეთ.

ლელა ჭიტაშვილი, აღიბეგლოს ნეიოლვნების სკოლის საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგი: „სულ თექვსმეტი მოსწავლე მყავს, აქედან რვა ქართველია. კარგი მონაცემების მქონე ბავშვები კი ბევრნი არიან. სულ სკოლის კონტინგენტი 250 მოსწავლეს შეადგენს, აქედან 5-6 ქართველი ხვდება საფორტეპიანო განყოფილებაზე. ძალიან გვინდა, რომ ქართველმა ბავშვებმა იციოდნენ ქართული სიმღერები; მაგრამ ქართული ფოლკლორი არ ისწავლება. სასწავლო რეპერტუარში შეტანილი გვაქვს ქართველ კომპოზიტორთა — ლაღიძის, თაქთაქიშვილის, ცინცაძის, ნასიძის, აზარაშვილის პიესები“.

ემზარ სუჯაშვილი, სოფელ ალათემურის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი: „საქართველოს ისტორიის სკოლაში ფაკულტატური საათები აქვს დათმობილი, უფრო მეტი ყურადღება ექცევა საბჭოთა კავშირის ისტორიას. სკოლაში არ გვყავს სიმღერის მასწავლებელი, ამიტომ მე ჩამოვაყალიბე გუნდი, რომელიც ქართულ სიმღერებს ასრულებს. ანსამბლს „ოცნება“ ჰქვია. ეს სახელი იმიტომ დავარქვით, რომ ოცნება იყო ჩვენთვის ქართული ხალხური სიმღერის შესწავლა. მადლობის მეტი რა გვეთქმის თბილისელი ბიჭების — არქეოლოგ გია კალანდაძისა და კონსერვატორიის სტუდენტ დათო შუღლიაშვილის მიმართ. ისინი ჩამოდიან ხოლმე და გვასწავლიან ხალხური სიმღერებს. ჩვენს რეპერტუარშია: „ქართველო ხელი ხმალს იკარ“, „ცელო მოუვი ბალახსა“, „არაგვისპირული“, „წინწყარო“, „ჰარალალო“, „მგზავრული“, „მრავალჟამიერ“ და სხვ. ამ სიმღერების ცოდნ[illegible] გამოგვადგა ახლადმოქმედებულ ეკლესიაში. იქ ვგალობთ. ამავე დროს, ვსწავლობთ საქართველოს ისტორიას, მის მდიდარ წარსულს. ეკლესია დიდ როლს ასრულებს ინგილოთა ცხოვრებაში. კულტურულ სფეროში კი არ გვყავს სპეციალისტები, რომლებიც უკეთ წარმართავენ საქმეს და მომავალ თაობას დაუტოვებენ ამ მდიდარ ტრადიციებს. მავალითად, მე არ მინახავს ქართული ცეკვა აქ, ჩვენთან. ცეკვის ანსამბლები თითქმის არ ჩამოდიან. ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ინგილოებმა შეინარჩუნეს ქართული სოფლები „კაბი, ალიბეგლო, ალათქური, მუშაბაში, ქოთოქლო... სავალალო ის არის, რომ ზაქათალის რაიონში, ალიაბადაში მხოლოდ ენამ გაუძლო, მაგრამ რჯული გამოცვლილი აქვთ. „რა ენა წახდეს, ენი დაეცესო“, ნათქვამია და ჩვენც ნიადაგ ვცდილობთ, რომ ენა არ დაგვეკარგოს. დღეს მაამადიან და ქრისტიან ქართველებს შორის ძმური სიყვარულია და ესაა მთავარი“. ძმძმის მზრუნველი ხელი არ უნდა მოაკლდეს საინგილოოს. მით უფრო, რომ რაიონის ახალი ხელმძღვანელობა მზად არის თანამშრომლობისათვის.

მწვავედ განიცდის საინგილო ხელოვნების დარგის სპეციალისტთა ნაკლებობას. განსაკუთრებით უჭირთ განათლების სფეროში. ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში (ასეთი ხუთია) არ ჰყავთ სიმღერის, ხატვის მასწავლებლები. დაისვა საკითხი ალიბეგლოს სახალხო თეატრისათვის (ეს ერთადერთია ინგილოთა ცხოვრებაში. ეკლესიასა და ოჯახთან ერთად ეროვნული ფენომენი ალბათ ეს ერთადერთია, ეს ერთადერთი ადგილია, სადაც მიიღებს ამ ეროვნული ფენომენი ... ...

აქტუალური ინტერხიუ

ეს საუბარი საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში, მის თავმჯდომარესთან ზ. აბაშიძესთან მას შემდეგ გაიმართა, რაც ახლახან პოლონეთში დამთავრდა საქართველოს სსრ დღეები.

იგი შეეხებოდა ჩვენი რესპუბლიკის საგარეო კავშირურთიერთობის სფეროში აღნიშნული საზოგადოების საქმიანობის ზოგიერთ მხარეს, მის დღევანდელ მდგომარეობასა და მომავლის პერსპექტივებს, საკითხებს, რომლებიც უთუოდ აქტუალურია დღეს პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური სუვერენიტეტის გაფართოების გზაზე დამდგარი ჩვენი რესპუბლიკისათვის.

მკითხველებს ვთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

● პატივცემულო ზურაბ! პოლონეთში საქართველოს დღეების მიმდინარეობის შესახებ „კომუნისტის“ მკითხველებმა თავის დროზე გარკვეული ინფორმაცია მიიღეს, მართალია, არც თუ ვრცელი და, სამწუხაროდ, მხოლოდ საკავშირო დონეშითა სააგენტოს კორესპონდენტის მეშვეობით, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ეს მდგომარეობა გამოსწორდება და სამომავლოდ ამგვარ ღონისძიებებს საქართველოს ჟურნალისტები გააშუქებენ. ამიტომ ამ საკითხზე არ შეგიჩერებ არც თქვენს და არც მკითხველის ყურადღებას, და მხოლოდ ერთი ასეთი კითხვა მინდა მოგცეთ: მოგეხსენებათ, რომ პოლონეთში ამჟამად არცთუ უმტკივნეულოდ მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განახლების, საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესი თითქმის იმის ანალოგიურია, რაც საბჭოთა ქვეყანაში ხდება, და ამდენად მისდამი პოლონელთა ინტერესი თითქოს ბუნებრივი და კანონზომიერი უნდა იყოს. ამ კონტექსტით როგორი გამოხმაურება და შეფასება პოვა, თქვენი აზრით, თბილისის 9 აპრილის ტრაგიკულმა ამბებმა, და როგორი იყო ჩვენი დელეგაციის როლი და კონკრეტული მოქმედება აღნიშნულ საკითხებზე პოლონეთის საზოგადოებრიობის ვრცლად ინფორმირებისათვის?

— გეტყვით. მრავალრიცხოვანი შეხვედრებისა და საუბრების შედეგად ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ პოლონელებს მეტნაკლებად გაგონილი ჰქონდათ თბილისში მომხდარი ტრაგედიის ამბავი. ჩვენი ვარშავაში ყოფნის დროს, მაგალითად, ადგილობრივი ტელევიზიით გადაიცა საკმაოდ ობიექტური დოკუმენტური ფილმი 9 აპრილის შესახებ.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ მეტ დაინტერესებას მოველოდით ადგილობრივი ჟურნალისტების მხრივ, და რაოდენ გაკვირვებული დავრჩით, როცა ვარშავაში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც პოლონეთის თითქმის ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები ესწრებოდნენ, დამსწრე ჟურნალისტებს ერთი საათის განმავლობაში არც ერთი კითხვა არ დაუსვამთ 9 აპრილთან დაკავშირებით. პრესკონფერენცია, ალბათ, ასეკე დამთავრდებოდა, ჩვენი დელეგაციის წევრებს რომ არ წამოეწყოთ ეს საკითხი და შეძლებისდაგვარად განემარტათ ტრაგედიის მიზეზები და შედეგები, ხოლო როცა პრესკონფერენციის შემდეგ ფუნინტერესდნთ, თუ რით აიხსნებოდა ჟურნალისტთა ასეთი დაუინტერესებლობა და გულგრილობა, ასე გვიპასუხეს: დღეს ხალხებისმგებელო მომენტია, მთავრობა და ოპოზიციაც არჩევნებისათვის ემზადებიან, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის მომავალი და ასეთ სიტუაციაში, ცხადია ყველა ფრთხილობს, არავის სურს ურთიერთობა გაირთულოს მოსკოვთანო.

ჩემი აზრით, ეს მეტად დამაფიქრებელი პასუხი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ საჭიროა რეალურად და სალად შევაფასოთ ჩვენში შექმნილი დღევანდელი ვითარება. როგორც ჩანს, არცთუ ისე ბევრი მოკავშირე და თანამდგომი გვყოლია. ყველა ერს თავისი სატკივარი აქვს და უპირველეს ყოვლისა, მასზე ფიქრობს. 40-მილიონიან პოლონეთზე ნაკლები სიფრთხილე კი, ალბათ, არც ჩვენ გვმართებს.

● ცნობილია, რომ ყოველგვარი საქმიანობა საბოლოო პრაქტიკული შედეგებით ფასდება. ისეთი ღონისძიებები კი, როგორიცაა საქართველოს დღეების, კვირეულების მოწყობა, დაძმობილებული ქალაქების დელეგაციათა ურთიერთგაცვლა და საგარეო კავშირურთიერთობის სხვა ამგვარი აქციები, მეტწილად პოლიტიკურ-პროპაგანდისტული ხასიათისაა და კულტურის მიღწევათა გაცნობას გულისხმობს; მათში, როგორც წესი, სჭარბობს ხოლმე მოცეკვავეთა, მომღერალთა კოლექტივების, სახვითი ხელოვნების, კულინარიის დარგის მუშაკთა მონაწილეობა. ამავე დროს ნაკლებად არიან ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სპეციალისტები, იურისტები, ჟურნალისტები, რომელთა კონტაქტები უცხოელ კოლეგებთან, მათი გამოცდილების გაზიარება გაცილებით სასარგებლო წვლილს დასდებდა რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების სტრუქტურის, სახალხო მეურნეობის მექანიზმის სრულყოფა-განვითარებას. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ყოველი ასეთი ღონისძიება, მოგეხსენებათ, საკმაოდ ძვირი ჯდება, რესპუბლიკასკი. მათგან არავითარი უკუგება არა აქვს და ლამის თვითმიზნად იქცეს...

— ზოგადად თქვენ მართალს ბრძანებთ, მაგრამ ჩვენი საზოგადოების ხაზით უცხოეთის ქვეყნებში ქართული კულტურის წარდგენა არ შეიძლება ითვალისწინებდეს მყისიერ პრაქტიკულ შედეგებს. ამ საქმეში დიდი ზომიერების გრძნობაა საჭირო.

დღესდღეობით, ისე, როგორც არასდროს, აუცილებელია რაც შეიძლება ხშირად და ომახიანად გაისმოდეს უცხოეთში საქართველოს ხმა. იმისათვის, რომ საქართველო ჩადგეს ცივილიზებული ქვეყნების რიგში, საჭიროა მსოფლიო ურთიერთობებშიც, უნდა არსებობდეს ჯანსაღი კონკურენცია. ამიტომ თავისთავად რამდენიმე ერთნაირი პროფილის მქონე ორგანიზაციის არსებობა არ მომაჩნია უარყოფით მოვლენად. საგანგაშოა ის, როცა მხოლოდ ერთი რომელიმე ორგანიზაცია იჩემებს ბატონ-პატრონობას მთელი საგარეო ურთიერთობის, ვაჭრობის ან კულტურის სფეროებში.

ჩემი აზრით, რესპუბლიკის შესაბამისი ორგანიზაციების მთავარი სენი მუშაობის დუბლირება კი არ არის, არამედ მათი არაკომპეტენტურობაა. თუკი ოდესმე დავალწევთ თავს არაკომპეტენტურობის ჭაობს, თვითონ ცხოვრება მიუჩენს თითოეულს თავის ადგილსა და ფუნქციას.

რაც შეეხება მეგობრობის საზოგადოებას, მისი სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ იგი უცხოეთთან ურთიერთკავშირებს განახორციელებს არასამთავრობო არხებით. მისი საზღვარგარეთელი პარტნიორებიც საზოგადოებრივი ორგანიზაციები არიან — უმთავრესად საზღვარგარეთის ქვეყნების საბჭოთა კავშირთან მეგობრობის საზოგადოებები.

● კონკრეტულად რა ღონისძიებებია გათვალისწინებული უახლოეს მომავალში. ხომ არ არის მოსალოდნელი მათში გარკვეული ცვლილებები ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით?

— არ მოკუვები ჩვენი ისეთი „გეგმიური“ საქმიანობის დეტალურ ჩამოთვლას, როგორიცაა უცხოეთის ქვეყნებში საქართველოს დღეების მოწყობა (მომდინარე წელს, მაგალითად, სირიაში, კვიპროსსა და ეთიოპიაში), დელეგაციებისა და სპეციალისტებული ჯგუფების გაცვლა, გამოფენების, ლიტერატურისა და სხვა მასალების უცხოეთში გაგზავნა და ა. შ. ყოველივე ეს ჩვენი, ასე ვთქვათ, უშუალო მოვალეობაა.

სადღეისოდ საქართველოში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით ჩვენს მოვალეობად ვთვლით მაქსიმალურად გამოვიყენოთ მეგობრობის საზოგადოების საერთაშორისო კავშირები დასავლეთის ქვეყნების პოზიტიური გამოცდილების შესასწავლად, რაც ხელს შეუწყობდა ჩვენი მწვავე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას. მოვიყვან ერთ კონკრეტულ მაგალითს: საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაცია, ჩემი აზრით, შეიძლება მოხდეს მხოლოდ ისეთი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების შექმნით, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა. ეს უნდა მოხდეს მომავალ წელს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არჩევნების შედეგად.

ვფიქრობთ, რომ დასავლეთის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების გამოყენება ამ ჩვენთვის ჯერჯერობით უჩვეულო საქმეში ნამდვილად არ იქნება ზედმეტი. ამიტომ გადაწყვეტილი გვაქვს მოვიწვიოთ საქართველოში დასავლეთის წამყვანი ქვეყნების მეცნიერები, სპეციალისტები — პოლიტოლოგები მათგან მდიდარი გამოცდილებისა და ცოდნის მისაღებად.

მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველოში საერთაშორისო შეხვედრების მოწყობა ჩვენი დღევანდელობის უმწვავეს პრობლემებზე, ვთქვათ, ეკოლოგიის საკითხებზე. კერძოდ, ვიპარებთ საქართველოს ეკოლოგიური მოძრაობების წარმომადგენლები დავაკავშიროთ უცხოელ კოლეგებთან.

განხილვის სტადიაშია ისეთი დამოუკიდებელი საზოგადოებების შექმნის საკითხი, როგორიცაა „საქართველო — ჯორჯია (აშშ)“, „საქართველო — ზაირის მხარე (აფრ)“, „საქართველო — შვეიცარია“ და სხვა (აკამდე არსებობდნენ მხოლოდ საკავშირო მეგობრობის საზოგადოებების რესპუბლიკური და საქალაქო განყოფილებები). ასეთი საზოგადოებების შექმნა შესაძლებლობას მოგვცემს ვაწარმოოთ ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან უშუალო ფართო თანამშრომლობა საკავშირო უწყებების ჩაურევლად.

საგანგებოდ მინდა შევჩერდე ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე. საქმე ეხება მომავალი სუვერენული საქართველოსათვის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადებას. პირდაპირ უნდა ითქვას, თუ ჩვენს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას სპეციალისტთა კადრების დღევანდელი კვალიფიკაციით შეეხვედით, ბევრს ვერფიერს მივაღწევთ და კვლავ იძულებული ვიქნებით სხვისი შემყურე ვიყოთ. არადა ამჟამად ჩვენს სასწავლებლებში სპეციალისტების მომზადების დონე ბევრად ჩამორჩება და სრულიად არ შეესაბამება მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებს.

ამიტომ, ჩემი აზრით, საგანგებო ზომების მიღებაა საჭირო იმისათვის, რათა გამოინახოს საშუალებები ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების დასავლეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში მოსამზადებლად. მხედველობაში მაქვს სწავლის სრული კურსი, და არა რამდენიმე თვით სტაჟირება.

საქართველოს მეგობრობის საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს მაქსიმალურად გამოიყენოს საერთაშორისო კონტაქტები ამგვარი საშუალებების გამოსაძებნად.

ესაუბრა

გურამ სამსონაძე.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსისათვის

იალალებზე.

სიმონ კილაძის ფოტო.

საოლქო გაზეთებსაც მიბაძეთ

დღეს, დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში, განსაკუთრებით გაიზარდა ინფორმაციის როლი და მნიშვნელობა. თუ გუშინ დედაქალაქის მცხოვრებს მეტნაკლებად აკმაყოფილებდა რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები, ვთქვათ, სოხუმის, ბათუმისა თუ ცხინვალის ყოველდღიურობაზე, ახლა მისი ინტერესი გაზრდა, უკვე უშუალოდ სურს თვალი ადევნოს იქაურ პრესას.

მაგრამ ამ ინტერესის დაკმაყოფილება იოლი როდია, სპეციალურად თუ არ მივიდა საჯარო ბიბლიოთეკაში, ისე, ბევრიც რომ მოინდომოს, ამის ვერ შეძლებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თბილისში საოლქო გაზეთები საცალო ვაჭრობით არ იყიდება (გამონაკლისია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ორი გაზეთი: ლენინის რაიონის ზოგიერთ ჯიხურში ყოველდღე იყიდება 200 ცალი „საბჭოთა ოსეთი“ და 50 „სოვეტონ ირისთონი“).

კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „სოიუზპეჩატში“ გვაცნობეს, რომ 1989 წლისათვის თბილისში მოქალაქეებს მცირე რაოდენობით აქვთ გამოწერილი საოლქო გაზეთები (42 „საბჭოთა აფხაზეთი“, 44 „სოვეტსკაია აფხაზია“, 11 „აფსნი ყაფში“, 62 „საბჭოთა აჭარა“, 21 „სოვეტსკაია ადჟარია“, 58 „საბჭოთა ოსეთი“, 82 „სოვეტსკაია ოსეტია“, 46 „სოვეტონ ირისთონი“). მაგრამ ხელმოწერთა ეს უმნიშვნელო რაოდენობა სულაც არ ნიშნავს, ემბარგოზე, ბაზარზე, ბაზარზე, ბაზარ